მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე

ზოგადი ინფორმაცია

შეტყობინების ტიპი	მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე
აღწერა	შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ტაქსით მომსახურების სერვისის გაწევა
შეტყობინების ენა	ქართული
წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	25/11/ 2024
ადგილობრივი დროით	17:00
ორგანიზაცია/დეპარტამენტი	შპს „ტავ ურბან საქართველო“, ტერმინალის ოპერირება
<u>მისამართი:</u>	<u>თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, თბილისი/საქართველო</u>
ქალაქი	თბილისი
საფოსტო კოდი	0158
ტელეფონი	+995 322 2 310 481
ელ. ფოსტა	TBSCommercial@tav.aero

<u>შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ტაქსით მომსახურების სერვისის გაწევასთან დაკავშირებული ზოგადი მონაცემები და სავალდებულო მოთხოვნები:</u>

სატრანსპორტო საშუალებების შესახებ:

- ავტომობილები უნდა იყოს ახალი არანაკლებ 2016 გამოშვების წლის, თანამედროვე, კომფორტული, სუფთა, ტექნიკურად გამართული და უზრუნველყონ მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანა;
- ავტომობილები აღჭურვილი უნდა იყოს ტაქსომეტრით;
- აეროპორტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 30 ავტომობილის განთავსება, მათ შორის მოფრენის ტერმინალის წინ არანაკლებ 10 ავტომობილისა, ხოლო დანარჩენი სპეციალურად გამოყოფილ სადგომზე;
- ავტომობილები უნდა იყოს ერთი ფერის, მათზე დატანილი კომპანიის ლოგოთი და წარწერით ,,აეროპორტის ტაქსი";
- ავტომობილების საბარგული გათვალისწინებული უნდა იყოს დიდგაბარიტიანი ბარგისათვის, მაგ. 3 ერთეული 30 კგ.-იანი ზომის ჩემოდნის ან ჯამურად ანალოგიური ზომის ბარგისათვის;
- მგზავრის მოთხოვნის შემთხვევაში, ავტომობილი აღჭურვილი უნდა იქნას მცირეწლოვანი ბავშვის სავარძლით;
- ავტომობილებში უნდა იყოს, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე ბანკის ტერმინალით ანაზღაურების შესაძლებლობა. მგზავრის მხრიდან ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ მძღოლმა უნდა გასცეს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- პრიორიტეტი მიენიჭება იმ კომპანიას, რომლის ავტოპარკიც უზრუნველყოფილი იქნება ნაკლები წლოვანების ავტომანქანებით;

მძღოლების შესახებ:

- მძღოლები უნდა იყვნენ შემოსილნი უნიფორმით, მათ შორის ჰალსტუხით;
- მძღოლები უნდა იყვნენ პროფესიონალი, ყურადღებიანი, მოწესრიგებული, მგზავრზე ორიენტირებული;

ზოგადი მოთხოვნები:

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს აეროპორტის შენობაში კომპანიის ერთი პასუხისმგებელი პირის მუდმივად ყოფნა;
- მგზავრის გადაყვანა აეროპორტიდან ქალაქის მიმართულებით უნდა მოხდეს წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული ფიქსირებული ტარიფებით (ქალაქის ცენტრამდე და სხვა უბნებში) ან ტაქსომეტრით;

ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადის წარდგენა:

თუ თქვენი კომპანია დაინტერესებულია აღნიშნული პროექტის განხორციელებებით გთხოვთ გამოხატოთ ინტერესი 2024 წლის 25 ნოემბრის 17:00 საათამდე ზემოთ მითითებულ ელ. ფოსტაზე ან/და მისამართზე.

ზეგავლენის მცდელობა:

იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი შეეცდება რაიმე გზით გავლენა მოახდინოს ინტერესთა გამოხატვის პროცესზე მის მიერ წარმოდგენილი განცხადება არ განიხილება.

ვალდებულებისგან თავისუფლება:

ამ მოწვევით, შპს „ტავ ურბან საქართველო" არ იღებს ვალდებულებას შეარჩიოს რომელიმე კანდიდატი, ან აუნაზღაუროს მას რაიმე სახის ხარჯი. განაცხადის ან/და დოკუმენტების წარდგენა არ ანიჭებს კანდიდატს უფლებას შპს „ტავ ურბან საქართველო"-ს მიმართ წარადგინოს რაიმე სახის მოთხოვნა, იმის გამო, რომ ის გამოეხმაურა მოწვევას ინტერესის გამოხატვის თაობაზე. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის საპასუხოდ გაწეული ყველა ხარჯი ან/და ნებისმიერი შემდგომი ინფორმაციის მოთხოვნა იქნება კანდიდატის ხარჯების ნაწილი.

განაცხადების განხილვის მომდევნო ეტაპი:

განაცხადების განხილვის შედეგად შეირჩევა მხოლოდ ერთი კომპანია, რომელთანაც გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება. გისურვებთ წარმატებას!

Invitation for Expression of Interest

General Information

Type of Notice	**Invitation for expression of interest**
Description	Provision of taxi services at Shota Rustaveli Tbilisi International Airport
Language of Notification	Georgian
Deadline for Expression of Interest Submission	25/11/ 2024
By Local Time	17:00
Organization/Department	TAV Urban Georgia LLC, Terminal Operation Department
Address	Tbilisi International Airport, Tbilisi/Georgia
City	Tbilisi
Postal Code	0158
Phone	+995 322 2 310 481
E-Mail	TBSCommercial@tav.aero

General Data Related to Provision of Taxi Services at Shota Rustaveli Tbilisi International Airport

and Mandatory Requirements:

For transportation facilities:

- Vehicles are requested not less 2016 model, modern, comfortable, clean, technically fit and ensure safe transportation nof passengers;
- Vehicles are requested to be equipped with taximeters;
- A minimum of 30 vehicles should be placed in the airport area, among them a minimum of 10 vehicles in front of the arrival terminal – the rest will be standing on the specially allocated parking area;
- Vehicles should be of the same color, with the company logo provided on them and reading "Airport Taxi";
- The hoods of the vehicles should be provided for large size baggage, e.g. 3 pieces of 30 kg suitcases or units of baggage forming the same volume in total;
- In case of such a request by a passenger, the vehicles should be provided with baby car seats;
- Vehicles should be provided with bank terminals so that it is possible to perform payment by cash as well as through the terminals. After the payment is performed by the passengers, the drivers should issue the relevant bills to them confirming the payment.
- Priority will be given to the company whose fleet consist with new model of vehicles.

For drivers:

- Drivers are requested to wear a uniform and a tie;
- Drivers are requested to be professional, attentive, tidy, passenger-oriented.

General requirements:

- It is requested that one responsible person of the company be present in the airport building at all times;
- Passengers should be taken from the airport to the city using the predetermined fixed tariffs (to the city center and other districts) or using the taximeter;

Submission of Application for Expression of Interest:

If your company is interested in implementing the mentioned project, we kindly address you to express your interest before 17:00 of November 25, 2024 through the aforementioned e-mail or/and address.

Attempt of influence:

In case if the candidate attempts it to influence the process of the expression of interest in any way the application submitted by them shall not be reviewed.

Resuming no liability:

By placing this invitation, TAV Urban Georgia LLC does not resume any obligation to choose any candidate or pay any of their expenses. Submission of an application or/and a document does not grant the candidate the right to advance any request from TAV Urban Georgia LLC referring to the fact that it has accepted the invitation to the interest expression. All the expenses related to accepting the invitation to the expression of interest or/and requesting any further information shall form part of the expenses borne by the candidate.

Next stage of the application review:

As a result of reviewing the applications received, only one company shall be selected to execute a relevant agreement with.

Best Regards,

Sincerely